საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრული

ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრული, კარსტული უფსკრული გაგრის მუნიციპალიტეტში (აფხაზეთის არ), ბერჭილის ქედზე (არაბიკის მასივის განშტოება), გელგელუკის ტროგული ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 2145 მ სიმაღლეზე. გამომუშავებულია სქელშრეებიან ქვედაცარცულ კირქვებში. ჯამური სიღრმე 250 მ, სიგრძე 413 მ, მოცულობა 4400 $მ^3$. ვ. ბ. უ. ციკლგავლილი მშრალი მღვიმეა. გავრცელების მთელ არეალში კასკადური ჭები მორიგეობს მეანდრირებულ დერეფნებთან. აღსანიშნავია დარბაზები: „თოვლიანი", „ქვათაცვენის", „მარგალიტების" და სხვ. ქიმ. ნალექებიდან გვხვდება ოოლითებისა და პიზოლითების მდიდარი ბუდეები; მღვიმის ჩასასვლელში თოვლის, ფირნისა და გლეტჩერული ყინულების გროვებია (საერთო მოცულობა 1300 $მ^3$), მღვიმის ჰაერის ტემპ-რა 1,8–2,2ºC, შეფარდებითი ტენიანობა – 97–99%. მღვიმე აღმოჩენილი და გამოკვლეულია ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინ-ტის მიერ 1961 (ხელმძღვ. ლ. მარუაშვილი).

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.